ვადიანი ანაბრის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ანაბრის საპროცენტო განაკვეთი	
ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ფიქსირებული
ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	წლიური %
ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	წლიური %

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

ანაბრის (დეპოზიტის) მოცულობა: ---- (თანხა და ვალუტა)
ანაბრის (დეპოზიტის) ვადა: ---- (დღე)

პირგასამტეხლო ანაბრის შეწყვეტისთვის:
ანაბრის გახსნიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში შეწყვეტის შემთხვევაში თანხის განაღდების საკომისიო შეადგენს ანაბრის თანხის **0.2% GEL-ს; 0.25% USD-ს, EUR-ს, GBP-ს;** ხოლო, ანაბრის გახსნიდან 1 (ერთი) თვის შემდგომ შეწყვეტის შემთხვევაში **0%**-ს.

ანაბრის შეწყვეტის პირობა- ლარის 3 თვიანი ანაბრის შემთხვევაში:
ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ანაბარს ნაცვლად ზემოთაღნიშნულისა, დაერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური **0.5%-ის** ოდენობით. დარიცხვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან (ანაბრის გახსნიდან) მისი შეწყვეტის თარიღამდე.

ანაბრის შეწყვეტის პირობა - ლარის 3 თვეზე მეტი ვადიანობის ანაბრის შემთხვევაში:
ანაბრის გახსნიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში შეწყვეტის შემთხვევაში, ანაბარს ნაცვლად ზემოთაღნიშნულისა, დაერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური **0.5%-**ის ოდენობით. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ანაბარს დაერიცხება მისი გახსნიდან დარღვევის თარიღამდე ანაბრის ფაქტობრივი განთავსების ვადის შესაბამის საპროცენტო განაკვეთზე (ანაბრის დარღვევის მომენტისთვის, ანაბრის ფაქტობრივი განთავსების პერიოდულობის (ვადიანობის) ბანკში მოქმედი შესაბამისი ტიპის ანაბრისთვის დადგენილი (ბანკის მიერ განსაზღვრულ) საპროცენტო განაკვეთზე) **4%**-ით ნაკლები, მაგრამ არანაკლებ წლიური **0.5%-**ისა. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან (ანაბრის გახსნიდან) მისი შეწყვეტის თარიღამდე.

ანაბრის შეწყვეტის პირობა - აშშ დოლარის ანაბრის შემთხვევაში:
ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ანაბარს ნაცვლად ზემოთაღნიშნულისა, დაერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური **0.1%**-ის ოდენობით, რომლის დარიცხვაც განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან (ანაბრის გახსნიდან) მისი შეწყვეტის თარიღამდე.

ანაბრის შეწყვეტის პირობა - ევროს ანაბრის შემთხვევაში:
ანაბრის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ანაბარზე არ განხორციელდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა.

ანაბრის შეწყვეტის პირობა - ინგლისური გირვანქა სტერლინგის (ფუნტის) ანაბრის შემთხვევაში:
ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ანაბარს ნაცვლად ზემოთაღნიშნულისა, დაერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური **0.1%,** რომლის დარიცხვაც განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან (ანაბრის გახსნიდან) მისი შეწყვეტის თარიღამდე.

თუ მეანაბრეს სარგებელი უკვე გატანილი აქვს, წინასწარ გაცემული საპროცენტო სარგებლის თანხის ნაწილის დაკავება მოხდება ანაბრის თანხიდან.

მეანაბრეს აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება.

მეანაბრის მიერ ანაბრის თანხის მიღების მოთხოვნიდან / ანაბრის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, ბანკი უზრუნველყოფს ანაბრის თანხის და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის მეანაბრისთვის გადაცემას / მეანაბრის ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხვას/ასახვას.

უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანაბრის შემთხვევაში:
ეროვნულ ვალუტაში მსგავსი პირობების მქონე პროდუქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ბანკის ვებგვერდზე: www.tbcbank.ge.
უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!
ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს!
ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური %.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:
თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.
ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (წინამდებარე თავსართში მოცემული პირობების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით.
მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე- + 995 322 406406.

ვადიანი ანაბრის ხელშეკრულება

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ბანკი მეანაბრეს უხსნის ამ ხელშეკრულების 2.10 პუნქტში მითითებულ ანგარიშს, რომელზეც მეანაბრე შეიტანს ან ჩარიცხავს თანხას ამავე ხელშეკრულების 2.2 პუნქტში მითითებული ოდენობით. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მეანაბრე ბანკს ანიჭებს ამავე ხელშეკრულების 2.16 პუნქტში მითითებული ანგარიშიდან ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტში მითითებული ოდენობის თანხის 2.10 პუნქტში მითითებულ საანაბრო ანგარიშზე ჩარიცხვის უფლებას.

1.2 „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 30 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

2. ანაბრის პირობები

2.1 ანაბრის ტიპი:	ვადიანი ანაბარი
2.2 ანაბრის თანხა:	__ (შესაბამისი ვალუტა)
2.3 ანაბრის ვადა:	__ დღე
2.4 ანაბრის დახურვის თარიღი:	რიცხვი/თვე/წელი
2.5 საპროცენტო განაკვეთი:	წლიური %
2.5.1 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	წლიური %
2.5.2 ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ფიქსირებული
2.6 ანაბრის ვადის ავტომატურად გაგრძელების რაოდენობა:	
2.7 ანაბრის ვადის ავტომატურად გაგრძელების სახე:	კაპიტალიზაციით ან კაპიტალიზაციის გარეშე
2.8 ავტომატურად განახლებული ანაბრის ვადის გასვლის თარიღი:	
2.9 საპროცენტო სარგებლის გაცემის პერიოდულობა:	ანაბრის გახსნისას/ყოველთვიურად/ვადის ბოლოს
2.10 საანაბრო ანგარიშის ნომერი:	
2.11 ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება ანაბარი:	
2.12 ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება საპროცენტო სარგებელი:	
2.13 თანხის დამატების შესაძლებლობა:	დაუშვებელია
2.14 მინიმალური მოთხოვნები დეპოზიტის გახსნისთვის:	100 (შესაბამისი ვალუტა)
2.15 მინიმალური მოთხოვნები საპროცენტო სარგებლის მიღებისთვის:	100 (შესაბამისი ვალუტა)
2.16 ანგარიში, რომლიდანაც გადაირიცხება ანაბრის თანხა:	
2.17 თანხის განაღდების საკომისიო:	ანაბრის გახსნიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში შეწყვეტის შემთხვევაში თანხის განაღდების საკომისიო შეადგენს ანაბრის თანხის 0.2% GEL-ს; 0.25% USD-ს, EUR-ს, GBP-ს; ხოლო, ანაბრის გახსნიდან 1 (ერთი) თვის შემდგომ შეწყვეტის შემთხვევაში 0%-ს.

3. ანაბარზე სარგებლის დარიცხვის პირობები

3.1 ანაბარს დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტში მითითებული განაკვეთის მიხედვით ამავე ხელშეკრულების 6.1.1 ქვეპუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2 ანაბრის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ანაბრის თანხა ჩაირიცხება ამ ხელშეკრულების 2.11 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე.
3.3 დარიცხვა დაიწყება ანაბრის ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის განთავსების მომენტიდან.
3.4 საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება ყოველდღიურად, ხოლო დარიცხული საპროცენტო სარგებლის ასახვა მეანაბრის ანგარიშზე მოხდება ანაბრის ხელშეკრულების შესაბამისად.

4. ანაბრის შეწყვეტის პირობები

4.1 მომხმარებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება (ანაბარი).

ანაბრის შეწყვეტის პირობა- ლარის 3 თვიანი ანაბრის შემთხვევაში:
მომხმარებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება (ანაბარი). ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მეანაბრე ვალდებული იქნება გადაიხადოს ამ ხელშეკრულების 2.17 პუნქტით გათვალისწინებული საკომისიო. ამასთან, ანაბრის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტში მითითებული საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება და განისაზღვრება წლიური 0.5%-ით, რომელიც დაერიცხება ანაბარს ფაქტობრივი განთავსების ვადაზე (ანაბრის ხელშეკრულების გაფორმებიდან (ანაბრის გახსნიდან) მისი დარღვევის/შეწყვეტის თარიღამდე). თუ მეანაბრეს სარგებელი უკვე გატანილი აქვს, წინასწარ გაცემული საპროცენტო სარგებლის თანხის ნაწილის დაკავება მოხდება ანაბრის თანხიდან.

ანაბრის შეწყვეტის პირობა- ლარის 3 თვეზე მეტი ვადიანობის ანაბრის შემთხვევაში:
ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მეანაბრე ვალდებული იქნება გადაიხადოს ამ ხელშეკრულების 2.17 პუნქტით გათვალისწინებული საკომისიო. ამასთან, ანაბრის გახსნიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში შეწყვეტის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტში მითითებული საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება და განისაზღვრება წლიური 0.5%-ით; ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ანაბარს დაერიცხება მისი გახსნიდან დარღვევის თარიღამდე ანაბრის ფაქტობრივი განთავსების ვადის შესაბამის საპროცენტო განაკვეთზე (ანაბრის დარღვევის მომენტისთვის, ანაბრის ფაქტობრივი განთავსების პერიოდულობის (ვადიანობის) ბანკში მოქმედი შესაბამისი ტიპის ანაბრისთვის დადგენილი (ბანკის მიერ განსაზღვრულ) საპროცენტო განაკვეთზე) 4%-ით ნაკლები, მაგრამ, არანაკლებ წლიური 0.5%-ისა); საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ანაბარს ფაქტობრივი განთავსების ვადაზე (ანაბრის ხელშეკრულების გაფორმებიდან (ანაბრის გახსნიდან) მისი დარღვევის/შეწყვეტის თარიღამდე); თუ მეანაბრეს სარგებელი უკვე გატანილი აქვს, წინასწარ გაცემული საპროცენტო სარგებლის თანხის ნაწილის დაკავება მოხდება ანაბრის თანხიდან.

ანაბრის შეწყვეტის პირობა- აშშ დოლარის ანაბრის შემთხვევაში:
მომხმარებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება (ანაბარი). ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მეანაბრე ვალდებული იქნება გადაიხადოს ამ ხელშეკრულების 2.17 პუნქტით გათვალისწინებული საკომისიო. ამასთან, ანაბრის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტში მითითებული საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება და იქნება 0.1%, რომელიც დაერიცხება ანაბარს ფაქტობრივი განთავსების ვადაზე (ანაბრის ხელშეკრულების გაფორმებიდან მისი დარღვევის თარიღამდე). თუ მეანაბრეს სარგებელი უკვე გატანილი აქვს, წინასწარ გაცემული საპროცენტო სარგებლის თანხის ნაწილის დაკავება მოხდება ანაბრის თანხიდან.

ანაბრის შეწყვეტის პირობა- ევროს ანაბრის შემთხვევაში:
მომხმარებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება (ანაბარი). ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მეანაბრე ვალდებული იქნება გადაიხადოს ამ ხელშეკრულების 2.17 პუნქტით გათვალისწინებული საკომისიო. ამასთან, ანაბრის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ანაბარზე არ განხორციელდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა. თუ მეანაბრეს სარგებელი უკვე

გატანილი აქვს, წინასწარ გაცემული საპროცენტო სარგებლის თანხის ნაწილის დაკავება მოხდება ანაბრის თანხიდან.

ანაბრის შეწყვეტის პირობა- ინგლისური გირვანქა სტერლინგის (ფუნტის) ანაბრის შემთხვევაში:
მომხმარებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება (ანაბარი). ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მეანაბრე ვალდებული იქნება გადაიხადოს ამ ხელშეკრულების 2.17 პუნქტით გათვალისწინებული საკომისიო. ამასთან, ანაბრის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტში მითითებული საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება და იქნება 0.1%, რომელიც დაერიცხება ანაბარს ფაქტობრივი განთავსების ვადაზე (ანაბრის ხელშეკრულების გაფორმებიდან მისი დარღვევის თარიღამდე). თუ მეანაბრეს სარგებელი უკვე გატანილი აქვს, წინასწარ გაცემული საპროცენტო სარგებლის თანხის ნაწილის დაკავება მოხდება ანაბრის თანხიდან.

5. ანაბრის ვადის გაგრძელება

5.1 ანაბრის ვადის ავტომატურად გაგრძელების შემთხვევაში ანაბარზე გავრცელდება ბანკში იმ მომენტისათვის მოქმედი „ვადიანი ანაბრისთვის“ დადგენილი პირობები.

6. ხელშეკრულების პირობები

6.1 ეს ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს მეანაბრის განაცხადს საანაბრო და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშ(ებ)ის გახსნის შესახებ, რომლის ხელმოწერითაც მეანაბრე ადასტურებს, რომ:

6.1.1 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ბანკის ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (მასში ასახული ყველა ცვლილების და დამატების) განუყოფელ ნაწილს, რომელსაც იცნობს და ეთანხმება;

6.1.2 თანახმაა, სს „თიბისი ბანკმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, მისი პერსონალური მონაცემები;

6.1.3 ამ ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის და არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით ან სასარგებლოდ, არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან („შელ ბანკთან“) და ამ ხელშეკრულებაში აღწერილი გარიგება არ არის საეჭვო, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არ არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით გაფორმებული და ქონება (მათ შორის, ფულადი სახსრები), რომლის საფუძველზეც დაიდო და/ან შესრულდება ეს გარიგება, არ არის მოპოვებული/წარმოშობილი დანაშაულებრივი საქმიანობიდან;

6.1.4 თანახმაა, ბანკმა გაუხსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე) და/ან მოთხოვნამდე ანაბრის (სადეპოზიტო) ანგარიშ(ებ)ი (ნებისმიერ ვალუტაში), საანაბრო ანგარიშ(ებ)ზე თანხ(ებ)ის შეტანის/ჩარიცხვის და/ან საანაბრო ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის გატანის/გადარიცხვის მიზნით;

6.1.5 იმ შემთხვევაში, თუ: ა) ანაბრის საპროცენტო განაკვეთი აღმოჩნდება უფრო მაღალი, ვიდრე ანაბრებისთვის საქართველოს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები; ბ) ადგილი ექნება იმგვარ პროცესებს (მათ შორის ინფლაცია, ეკონომიკური ვარდნა და სხვ.), რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ ბაზარზე ანაბრისთვის დაწესებული საპროცენტო სარგებლის (განაკვეთების) ცვლილება და ამგვარი ცვლილებების შედეგად ანაბრის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი/განაკვეთები შეიცვლება (შემცირდება) 5%-ზე მეტი ოდენობით, ბანკი უფლებამოსილი იქნება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს (შეამციროს) წინამდებარე ანაბრის საპროცენტო განაკვეთი. ამგვარი ცვლილების შესახებ, ბანკი მეანაბრის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით;

6.1.6 იმ შემთხვევაში, თუ: ა) ანაბრის ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება ისე, რომ იგი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის და/ან საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას; ბ) ანაბრის პირობები არ/აღარ შეესაბამება ბანკის მიმდინარე პოლიტიკას; გ) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს ბანკის

მდგომარეობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის/მომსახურების ნებისმიერი პირობა. ამგვარი ცვლილებ(ებ)ის შესახებ, ბანკი მეანაბრის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ხოლო თუ იცვლება ანაბართან დაკავშირებული სხვა „საფინანსო პროდუქტის“ ფასი, ამგვარი ცვლილების შესახებ მეანაბრის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით;

6.1.7 თანახმაა, ბანკმა არ მიაწოდოს ინფორმაცია მეანაბრისთვის სასარგებლო ცვლილების შესახებ;.

6.2 საანაბრო ანგარიშთან და/ან მეანაბრესთან დაკავშირებით ყადაღის დადების აქტის, საინკასო დავალების და/ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებ(ებ)ის არსებობის/გამოყენების შემთხვევაში, არ განხორციელდება ანაბრის ვადის ავტომატური გაგრძელება (პროლონგაცია).

6.3 ბანკს უფლება აქვს კლიენტისთვის შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).

6.4 მეანაბრის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს მეანაბრესთან გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულება.

6.5 კლიენტს (მომხმარებელს) უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად მომხმარებელს შეუძლია მიმართოს სს „თიბისი ბანკის'' სატელეფონო სერვისცენტრს +995 322 272727. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში. ელექტრონული ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებგვერდის (www.tbcbank.ge) საშუალებით. კლიენტის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა, განმცხადებლის მომართვისა და იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე. პრეტენზიებს განიხილავს სს „თიბისი ბანკის“ მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილება. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, კლიენტს ეცნობება წერილობით და/ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო ან სხვა). პრეტენზიის განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში და/ან დისტანციური არხების საშუალებით.

ხელშეკრულების 6.6 პუნქტი გათვალისწინებულია უცხოური ვალუტის ანაბრის შემთხვევაში:

6.6 ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური __%.

6.7 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული დავა განიხილება და გადაწყდება, მხარეთა შორის გაფორმებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების პირობების თანახმად.

6.8 მეანაბრის მიერ ანაბრის თანხის მიღების მოთხოვნიდან / ანაბრის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, ბანკი უზრუნველყოფს ანაბრის თანხის და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის მეანაბრისთვის გადაცემას / მეანაბრის ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხვას/ასახვას.